ᲓᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
5 აპრილი
1940 წ.
№ 79 (5780)
ფასი 10 კაპ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

ერთობლივი

მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, გამომგონებლობისა და ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინის სახელობის პრემიების მიკუთვნების წესის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინის სახელობის პრემიების მიკუთვნების წესი.

სტალინის სახელობის პრემიები, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 20 დეკემბრისა და 1940 წლის 1 თებერვლის დადგენილებით, ყოველწლიურად მიეკუთვნებათ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მეცნიერების, სამხედრო ცოდნის და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის და ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის წარდგინით. ეს კომიტეტები შექმნილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის იმ ნაშრომების წინასწარ განსახილველად, რომლებსაც სტალინის სახელობის პრემიების მისაღებად წარადგენენ.

მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ნაშრომები, აგრეთვე განაცხადები ან გამოგონებათა აღწერილობანი სტალინის სახელობის პრემიების მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტალური მონაცემის თანდართვით, წარედგინება სტალინის პრემიების კომიტეტებს ყოველწლიურად არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა, ხოლო უკანასკნელნი ამ ნაშრომებსა და განაცხადებს პრემიების მიკუთვნების წინადადებით წარუდგენენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს არაუგვიანეს 1 დეკემბრისა.

სტალინის სახელობის პრემიების მისაღებად წარდგენილ უნდა იქნას მხოლოდ ახალი ნაშრომები ან გამოგონებანი, რომლებიც დამთავრებულია პრემიების მინიჭების წელს. ნაშრომების და გამოგონებათა წარდგენა შეუძლიათ სამეცნიერო საზოგადოებებს, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

15 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე დამთავრებული ნაშრომები ან გამოგონებანი შეიძლება წარდგენილ იქნას სტალინის სახელობის პრემიების მისაღებად შემდეგ წელს.

მეცნიერებისა და სამხედრო ცოდნის დარგის ნაშრომები და გამოგონებათა აღწერილობანი შეიძლება წარდგენილ იქნას ყოველ ენაზე 3 ცალად, საწერ მანქანაზე და სასტამბო წესით დაბეჭდილი სახით; ლიტერატურული, მუსიკალური ნაწარმოებები და არქიტექტურულ ნაგებობათა პროექტები წარდგენილ უნდა იქნას ერთ ცალად, ხელოვნების დანარჩენი ნაწარმოებები კი — ორიგინალის სახით.

შეფასება და პრემიების მიკუთვნება სათეატრო ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის დარგის ნაშრომებისათვის ხდება როგორც წარმოდგენილი მასალების (პიესები, სცენარები, მაკეტები და სხვ.) საფუძველზე, ისე ნაჩვენები კინოფილმებისა და სათეატრო დადგმების საფუძველზედაც.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინის სახელობის პრემიების მიკუთვნების შესახებ ქვეყნდება ცენტრალურ პრესაში 21 დეკემბერს. იმ პირებს, რომელთაც სტალინის სახელობის პრემია მიიღეს, დიპლომი ეძლევათ.

მეცნიერების, სამხედრო ცოდნისა და გამომგონებლობის დარგში სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ასეთი შემადგენლობით:

კომიტეტის თავმჯდომარე — აკადემიკოსი ა. ნ. ბახი.

თავმჯდომარის მოადგილენი — 1) აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო, 2) უმაღლესი სკოლის სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ვ. კაფტანოვი

და კომიტეტის წევრები: ა. ი. აბრიკოსოვი, ა. ა. ბაიკოვი, ა. ა. ბოგომოლეცი, ე. ს. ვარგა, ა. გ. ვოვკო, ბ. ნ. ვედენისოვი, კ. ვ. გორევი, ვ. ა. დეგტიარევი, ა. ფ. იოფე, ტ. ყარა-ნიაზოვი, ა. კ. კოლენკოვსკი, ვ. ლ. კომაროვი, გ. პ. კოსიაჩენკო, ა. ნ. კრილოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ნ. ს. კურნაკოვი, მ. ნ. ლოგინოვი, ი. ა. მანანდიანი, ვ. ა. მელიხოვი, მ. ბ. მიტინი, ნ. ი. მუსხელიშვილი, ვ. ა. ობრუჩევი, ლ. ა. ორბელი, ვ. ა. პეტროვსკი, პ. ნ. პოსპელოვი, ვ. პ. პოტიომკინი, ს. პ. სტავიცკი, ე. ვ. ტარლე, ი. პ. ტრაინინი, ა. ა. ჩერნიშევი, ე. ა. ჩუდაკოვი, ო. ი. შმიდტი, ა. ს. იაკოვლევი, ე. მ. იაროსლავსკი.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ასეთი შემადგენლობით:

კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

თავმჯდომარის მოადგილენი — 1) რ. მ. გლიერი, 2) მ. ა. შოლოხოვი, 3) ა. პ. დოვჟენკო

და კომიტეტის წევრები: ნ. ნ. ასეევი, გ. ფ. ალექსანდროვი, ა. ვ. ალექსანდროვი, კულიაშ ბაისეიტოვა, ი. გ. ბოლშაკოვი, ვ. ა. ვესნინი, ი. ე. გრაბარი, ა. ვ. გოლდენვეიზერი, ა. მ. გერასიმოვი, ა. ს. გურვიჩი, უ. ჰაჯიბეკოვი, ა. კ. გულაკიანი, ი. ო. დუნაევსკი, იანკა კუპალა, ე. მ. კუზნეცოვი, ა. ე. კორნეიჩუკი, ი. კ. ლუპოლი, ვ. ი. მუხინა, ს. დ. მერკუროვი, აბდილას მოლდობაევი, ა. გ. მორდვინოვი, ი. მ. მოსკვინი, ს. მ. მიხოელიშ, ნ. ი. მიასკოვსკი, ხალიმა ნასიროვა, ს. ა. სამოსუდი, რ. ნ. სიმონოვი, ი. ი. სუდაკოვი, ა. ნ. ტოლსტოი, ა. ა. ფადეევი, მ. ბ. ხრაპჩენკო, ა. ა. ხორავა, მ. ე. ჭიაურელი, ნ. კ. ჩერკასოვი, ი. ა. შაპორინი, ფ. მ. ერმლერი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტები.

II

სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის წესი

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა დებულება იმ პირთათვის სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის წესის შესახებ, რომლებიც **მეცნიერებათა დოქტორის და მეცნიერებათა კანდიდატის** ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვისათვის ემზადებიან.

ამ დებულების თანახმად, უფლება სტალინის სახელობის სტიპენდიების მიღებისა, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით იმათთვის, ვინც ემზადება მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციების დაცვისათვის, აქვთ იმ პირთ, ვინც თავი გამოიჩინა მეცნიერული შრომებით, — როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ან სხვა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ თანამშრომლებს, ისე სხვა მოქალაქეებს.

სტალინის სახელობის იმ სტიპენდიების მიღების უფლება, რომლებიც განკუთვნილია იმათთვის, ვინც ემზადება სამეცნიერო მოღვაწეობისათვის და მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვისათვის, აქვთ როგორც სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების საუკეთესო ასპირანტებსა და მეცნიერ მუშაკებს, ისე სხვა მოქალაქეებს.

სტალინის სახელობის სტიპენდიების მიღების კანდიდატებს აყენებენ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბჭოები. სტიპენდიების პერსონალური დანიშვნა ხდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.

სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბჭოები ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მაისისა, წარადგენენ სტალინის სახელობის სტიპენდიების მიღების კანდიდატთა სიებს. სტიპენდიების მიღების კანდიდატები მტკიცდებიან არაუგვიანეს 1 ივნისისა. სტიპენდიების გაცემა ხდება დამტკიცების დღიდან.

სტალინის სახელობის სტიპენდიების მისაღებად ჩარიცხულ პირთა სიები ქვეყნდება „მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის „ბიულეტენში“.

სტიპენდიების ჩამორთმევა შეუძლიათ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბჭოებს მხოლოდ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის დასტურით.

2. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა აგრეთვე დებულება **უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთათვის** სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის წესის შესახებ.

ამ დებულების თანახმად, სტალინის სახელობის სტიპენდიები ენიშნება უმაღლეს სასწავლებელთა ყველაზე გამოჩენილ სტუდენტ-ფრიადოსნებს.

სტალინის სახელობის სტიპენდიების მიღების კანდიდატებს აყენებენ უმაღლეს სასწავლებელთა საბჭოები.

სსრ კავშირის სახალხო კომისარიატების გამგებლობაში მყოფ უმაღლეს სასწავლებელთა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ, მათთან გათანაბრებულ ცენტრალურ დაწესებულებათა მოსწავლეებს სტიპენდიებს უნიშნავენ სახალხო კომისრები და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები კუთვნილებისამებრ.

სტიპენდიების გაცემა ხდება ყოველი წლის 1 ივლისიდან. 1940 წელს სტიპენდიების გაცემა სწარმოებს 1940 წლის 1 იანვრიდან.

იმ უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეებს, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში იმყოფებიან, სტიპენდიებს დაუნიშნავენ მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოები.

სტალინის სახელობის სტიპენდიებს სსრ კავშირის სახალხო კომისარიატებსა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ იმ ცენტრალურ დაწესებულებებს შორის, რომლებიც სახალხო კომისარიატებთან არიან გათანაბრებულნი, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ანაწილებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი და ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

იმ სტუდენტთა სიები, რომლებსაც სტალინის სახელობის სტიპენდიები დაენიშნათ, ქვეყნდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის „ბიულეტენში“.

უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეებს სტალინის სახელობის სტიპენდიები შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ სათანადო სახალხო კომისრის ან მოკავშირე რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დასტურით.

უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთათვის სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის წესის დებულების დამტკიცებასთან ერთად სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი განაწილება ამ სტიპენდიებისა სსრ კავშირის სახალხო კომისარიატებსა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული იმ ცენტრალურ დაწესებულებებს შორის, რომლებიც სახალხო კომისარიატებთან არიან გათანაბრებულნი, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების შორის, 1939-40 სასწავლო წლისათვის.

(„პრავდა“, 2 აპრილი).

სსრ კავშირის 1-ღი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1940 წლის 4 აპრილის სხდომათა შესახებ

გუშინ, 4 აპრილს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, დღის 11 საათზე შესდგა კავშირის საბჭოს მეხუთე სხდომა და საღამოს 6 საათზე—ეროვნებათა საბჭოს მეხუთე სხდომა.

კავშირის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს—კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი**, ეროვნებათა საბჭოს სხდომას—ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი**.

ორივე პალატის სხდომებზე განხილულ იქნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შეტანილი კანონპროექტები.

კავშირის საბჭომ და ეროვნებათა საბჭომ მუხლობრივი კითხვის წესით ერთხმად დაამტკიცეს—ჯერ მუხლობრივ, ხოლო შემდეგ მთლიანადაც — „მოსახლეობის სამედიცინო გადასახადის კანონი“, „საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილი მოსახლეობისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების კანონი“ და „სავალდებულო საშენაწერო დაზღვევის კანონი“.

შემდეგ კავშირის საბჭომ და ეროვნებათა საბჭომ განიხილეს სესიის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკასა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკას შორის ოლქების გამიჯვნის შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს იმის შესახებ რომ:

მშენებლობის სახალხო კომისრად დანიშნა **ამხ. ს. ზ. ვინზბურგი,**

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად—**ამხ. გ. ა. მიტერევი,**

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრად—**ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი,**

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრად—**ამხ. ვ. ვ. ვახრუშევი,**

სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრად—**ამხ. ა. ი. შახურინი,**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ—**ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკო,**

დამზადებათა სახალხო კომისრად—**ამხ. ვ. ა. დონსკოი.**

ამით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

---

7 აპრილს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში განმეორებით შესდგება ბატალიონის კომისრის **ამხ. ი. ა მალაშენკოვის** ფასიანი ლექცია თემაზე:

„ᲨᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ“. რუსულ ენაზე.

შესვლა—1 შანეთი. ბილეთების წინასწარი გაყიდვა სწარმოებს 3 აპრილიდან ფილარმონიის სალაროში, რუსთაველის პროსპექტი № 21.

სალარო ღია ყოველდღე, დღის 12-დან 5 საათამდე და საღამოს 6-დან 11 საათამდე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე გაკეთებული მოხსენების გამო

ჩინეთი

ჩუნცინი, 3 აპრილი (საკდესი). გაზეთი „სინშუბაო“ მოწინავე სტატიას უძღვნის ამხ. მოლოტოვის მოხსენებას უმაღლესი საბჭოს სესიაზე. „წაიკითხავენ რა მოლოტოვის მოხსენებას,—სწერს გაზეთი,—მთელი მსოფლიოს ხალხები სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას კიდევ უფრო ნათლად გაიგებენ, ვიდრე წინათ ესმოდათ. სსრ კავშირის პოლიტიკა წარმოადგენს მშვიდობიანობის უცვლელ პოლიტიკას. როცა ევროპის ომი დაიწყო, სსრ კავშირმა გადაჭრით განაცხადა, რომ იგი ნეიტრალიტეტს დაიცავს. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში კვლავ განიმეორა ესა. მისი განცხადება მძლავრ ღახვარს ჩასცემს იმათ ინტრიგებს, ვინც ცდილობს ომში ჩაბას სსრ კავშირი“. გაზეთი სწერს: „სსრ კავშირს უდიდესი ძალები მოეპოვება. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომმა დაამტკიცა, რომ სსრ კავშირს საკმაო ძალები გააჩნია, რათა დაამარცხოს ყოველი ანტისაბჭოთა სახელმწიფო ან გაერთიანებული ანტისაბჭოთა ძალები“.

ბულგარეთი

სოფია, 3 აპრილი (საკდესი). გაზეთი „ბურგასკი ფარი“ საერთაშორისო მიმოხილვაში სწერს, რომ გასულ კვირას ყველაზე დიდი მოვლენა იყო მოლოტოვის მოხსენება, რომელიც მან გააკეთა საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში. თავის მოხსენებაში მოლოტოვმა დაახასიათა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიმართულება. მომხსენებელმა ნათლად და აშკარად გაუსვა ხაზი მშვიდობიანობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი განაგრძობს იმ შემთხვევაში, თუ მას თავს არ დაესხმიან.

თბილისი

„კომუნისტის“ რედაქციას

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გადასცეთ ჩემი მხურვალე სალამი მზიური საქართველოს მშრომელთა.

მთავრობის მიერ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ჩემი ერთგულების აღნიშვნასთან დაკავშირებით, — მე უდიდესი სიყვარულის გრძნობით ვიგონებ ყველა გამარჯვებათა შთამგონებელს ბრძენ **სტალინს,** ვისი სახელითაც ჩვენ მივდიოდით ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის მტრების გასანადგურებლად. კარელიის ყელზე მანერჰაიმის ხაზის მიუვალმა სიმაგრეებმა ვერ გაუძლეს საბჭოთა ავიაციის, არტილერიისა და ქვეითი ჯარის შეტევას. სტალინელმა მფრინავებმა ღირსეულად შეასრულეს მათთვის დასახული ამოცანა, მოახდინეს ომის საშიშროების კერის ლიკვიდაცია ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე. ჩემი მებრძოლი მფრინავები მიდიოდნენ საბრძოლველად ერთი აზრით გამსჭვალულნი — გაენადგურებინათ მტერი ისე, რომ დაემსახურებინათ მთელი ხალხის, **ლენინ-სტალინის** პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწონება. საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომა დაცულია ჩვენი წითელი არმიის მიერ. ჩემი ბრიგადა მუდამ მზად არის ვოროშილოვისებური თვალსაჩინო გაკვეთილები მისცეს ყველას, ვინც შეეცდება ჩვენი საარსებო ინტერესების დარღვევას. სიტყვას გაძლევთ, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავებ ჩვენი ავიაციის ძლიერების განსამტკიცებლად. მტერი განადგურებული იქნება ყველგან, სადაც არ უნდა გამოჩნდეს იგი—ჰაერში, ხმელეთზე თუ ზღვაში. მალე გნახავთ, ძვირფასო ამხანაგებო.

საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი — **ვ. ნანეიშვილი**

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

ეროვნებათა საბჭოს 2 აპრილის სხდომა

2 აპრილს, საღამოს 6 საათზე, კრემლში შესდგა ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა.

სხდომა გახსნა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ვ. ვ. კუ-ლაგინმა.** დღის წესრიგში იყო განგრძობა კამათისა სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **რ. კ. იბრაჰიმოვს.** მან წამოაყენა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც, მისი აზრით, გადაწყვეტას მოითხოვენ. მაგალითად, რაიონის მრეწველობის ყველა ანარიცხი ამავე რაიონის ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას ემსახურება. ორატორის წინადადება შეეხება, რომ უფლება მიენიჭოს სათანადო ორგანიზაციებს ერთი რაიონის ანარიცხები მეორეს გადასცენ, თუ იქაც მოიპოვება ადგილობრივი მრეწველობის განვითარების წინაპირობა. შემდეგ დეპუტატ იბრაჰიმოვს წინადადება შეაქვს ჩამბოლი იქნან ადგილობრივი ორგანიზაციები ადგილობრივი ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა მუშაობის კონტროლის საქმეში, გამოიყოს ახალი სამრეწველო ცენტრების საბინაო მშენებლობისათვის არა მარტო სახსრები, არამედ სამშენებლო მასალის მტკიცე ფონდებიც.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა **გ. ა. კარკარიანმა,** რომელმაც განაცხადა: სესიისათვის განსახილველად წარმოდგენილ სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს ერთსულოვნად მოიწონებს მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა კავშირის მშრომელები თვალსათლივ ხედავენ, თუ რა დიდი თანხები იხარჯება საბალხო მეურნეობის განვითარებისათვის, მასების კულტურისა და კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მეამბოე კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების სტახანოველებმა 37 ათასზე მეტი ტონა ბამბა მისცეს შარშან ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით. მრავალი რაიონის მშრომელებმა სარეკორდო მოკლე ვადაში მოსპეს უგზოობა და საკუთარი ძალებით შეჰქმნეს დიდი სარწყავი ნაგებობანი.

შემდეგ დეპუტატი კარკარიანი ლაპარაკობს იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის 1938 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის არადამაკმაყოფილებელი შესრულება. საფრთხანში აპარატი, განსაკუთრებით სოფლად, სუსტად მუშაობს. საკავშირო ფინსახკომში ვალდებულია გააუმჯობესოს საგადასახადო აგენტთა მუშაობის ხარისხი.

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ა. ნ. კოსიგინი თავის გამოსვლას უძღვნის საფეიქრო მრეწველობის მუშაობას და მისი განვითარების პერსპექტივებს. 1939 წლის საწარმოო გეგმა შესრულებულია.

იმ საწარმოებს, რომელნიც ბამბით უზრუნველყოფილი არიან, შესაძლებლობა აქვთ შემდგომშიაც მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ დავალებანი.

განუწყვეტლივ მატულობს საფეიქრო საწარმოთა რაოდენობა და სიმძლავრე. არსებული ფაბრიკების სიმძლავრე მარტო შარშან ათი ათასობით ახალი თითისტარით გადიდდა. ეს დაახლოებით 8 ახალი საწარმოს სიმძლავრეს უდრის.

საკავშირო ბიუჯეტით საფეიქრო მრეწველობისათვის გათვალისწინებული ასიგნობანი უზრუნველჰყოფენ მის შემდგომ სწრაფ ზრდას. 1940 წელს მთლიანად უნდა ამუშავდეს ტაშკენტის საფეიქრო კომბინატი. გარაფებულია პარნაულის საფეიქრო კომბინატის მეორე რიგის, ჯუზპასის ბამბეულის კომბინატის, ომსკისა და ეკატერინოდარის სართავი ფაბრიკების მშენებლობა. მალე დაიწყება ახალი დიდი კომბინატების აგება ციმბირში, ვოლგის მხარესა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

საკავშირო საფეიქრო მრეწველობამ უკანასკნელ წელს სახელმწიფო ბიუჯეტს 10.556 მილიონი მანეთი მისცა.—ეს თანხა,—ამბობს ამხ. კოსიგინი,—შეიძლებოდა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო, საფეიქრო მრეწველობას რომ დანაკარგი და გაკლდენა შეემცირებინა.

დეპუტატ **ა. კაზაკაევს** წინადადება შემოაქვს დამტკიცებულ იქნას სესიისათვის განსახილველად წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც ისეთი, რომელიც უზრუნველჰყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ სწრაფ აღმავლობასა და საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის შემდგომ გაძლიერებას.

ორატორი თავის სიტყვაში ძირითად ადგილს უთმობს უახლოეთის სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების საკითხებს. რესპუბლიკას დაუშრეტელი რეზერვები მოეპოვება იმისათვის, რომ კიდევ უფრო გადიდოს საქონლის სულადობა. მაგრამ სახალხო მეურნეობის ამ დარგის შემდგომი განვითარება ცვალეფიციური კადრების — ვეტერინარია ექიმების, მესაქონლე ტექნიკოსებისა და სხვ. — მომზადების გაძლიერებას მოითხოვს.

ტრიბუნაზე ადის დეპუტატი **ს. ო. პრიტიცკი,** რომელიც სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ბელორუსის სს რესპუბლიკის გროდნოს არჩევნების ოლქიდან. იგი ლაპარაკობს საბალხო მეურნეობის ზოგიერთ საკითხებზე. ორატორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი ყოველივე ღონეს იხმარებენ, რათა მეორე ივანოვოდ გადააქციონ ბელოსტოკი. ბელოსტოკის საფეიქრო ფაბრიკების, გროდნოს თამბაქოს ქარხნისა და ბელოსტოკის ოლქის სხვა საწარმოთა სტახანოველები უკვე სასახელოდ ასრულებენ თავიანთ სტუდას. ბელოსტოკელ ფეიქრებს შორის მასობრივი გახდა მრავალდაზგოსანთა მოძრაობა. ქალაქ ბელოსტოკის პირველმა საფეიქრო კომბინატმა ვადამდე შეასრულა პირველი ხუთწლედის გეგმა. საბჭოთა ხელისუფლების რამდენიმე თვის არსებობის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ოლქის სოფლის მეურნეობაში. შექმნილია პირველი 40 კოლმეურნეობა. მოწყობილია პირველი 24 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, გაიხსნა ახალი სკოლები, შეიქმნა რამდენიმე საოლქო თეატრი და სხვ.

შემდეგ გამოდის დეპუტატი **მ. ი. შეველიოვი,** რომელიც აღნიშნავს 1939 წელს არქტიკული ნავიგაციის ჩატარების საქმეში მიღწეულ წარმატებებს. ტვირთბრუნვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. გადაზიდვის თვითღირებულება შემცირებულია. ყველა სატვირთო გემი დაუზიანებლად დაბრუნდა ნავსადგურებში. ღირსეულად შეასრულა სტალინური დავალება „სედოვის“ გმირმა ეკიპაჟმა.

მაინც, ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი დღემდე დიტაციას იღებს სახელმწიფოსაგან. არქტიკის მუზღვაურებსა და მემდინარეებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისა, რომ უზარალო მუშაობას მიაღწიონ.

ეს შესაძლებლობა განმტკიცებულია იმ დიდი სახსრებით, რომლებსაც სახელმწიფო იძლევა ჩრდილოეთის საზღვაო გზის კაპიტალური მშენებლობისათვის. ამ სახსრებით მოთავსებულ უნდა იქნას ყინულმჭრელი „იოსებ სტალინის“ ტიპის ორი მძლავრი ყინულმჭრელი. ჩაიდება არქტიკული ნავსადგურების მშენებლობა დიქსონის ყუნძულზე, ტიქსისა და განგების ყურეში. ჩრდილოეთის საზღვაო გზით ტვირთბრუნვის გეგმა 1940 წელს 12 პროცენტით იზრდება.

დეპუტატი **ჯ. კ. ტრუტნევი** რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას გამოსთქვამს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ. მშრომელთა დეპუტატების ყველა ადგილობრივი საბჭო ვერ აკმაყოფილებს კიდევ სათანადო ყურადღებას ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. ჩვენი სამედიცინო დაწესებულებების სიმძლავრე მთლიანად არაა გამოყენებული.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **ს. გ. ლუკინი** აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის საწარმოო ბიუჯეტის შემოსავლიანი მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის წილი 5.309 მილიარდ მანეთს მიაღწევს, მაშინ როდესაც 1939 წელს იგი 4,5 მილიარდ მანეთს შეადგენდა. ჩვენი ქვეყნის წინაშე ბიუჯეტით გათვალისწინებული ვალდებულებანი რომ შესრულდეს, ამისათვის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა, სოლიდურ სამმართველოებმა, მსუბუქი მრეწველობის რესპუბლიკურმა და საკავშირო სახალხო კომისარიატებმა ენერგიულად უნდა იმუშაონ,—კიდევ უფრო მნიშვნელოვნად უნდა გაადიდონ პროდუქცია.

ჩვენი სამშობლოს მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს ფართო მოხმარების საქონელს. მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა წინაშე დგას საპატიო ამოცანა—არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ 1940 წლის გეგმა, მისცენ საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობას დამატებითი საქონელი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს—დამატებითი დაგროვება.

დეპუტატი **ტ. მირზაევი** ამბობს სიტყვას უზბეკურ ენაზე. იგი ირჩონებს სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. სესიისათვის განსახილველად წარმოდგენილს, და მიუსაძლება 57 მილიარდი მანეთის ასიგნობის ქვეყნის თავდაცვისათვის.

დეპუტატი მირზაევი სესიას სთხოვს შეიტანოს 1940 წლის ბიუჯეტში ასიგნობანი ტაშკენტიდან მელნიკოვოს სადგურამდე რკინიგზის ხაზის მშენებლობის მოსამზადებლად. ამ ხაზის გაყვანას უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მთელი უზბეკეთისათვის. ახალი ხაზის გაყვანის შედეგად, რკინიგზით საგანი მანძილი ტაშკენტიდან ფერგანის ველამდე 97 კილომეტრით შემცირდება და ამავე დროს განტვირთება ისეთი დიდი სარკინიგზო კვანძი, როგორიც არის ურსატიევსკაია სადგური. ახალი ხაზის ეკონომიური სარგებლობა აშკარაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფერგანის ველიდან მარტო ბამბა ყოველწლიურად 750 ათასი ტონა უნდა იქნას გადიდებისათვის.

უკრაინის დასავლეთი ოლქების მშრომელთა სახელით საბჭოთა ხელისუფლებას მხურვალე მადლობას მიუძღვნის დეპუტატი **ი. ა. კრავჩუკი.** იგი ლაპარაკობს სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა, კერძოდ, დროგობიჩის ოლქის ნავთისა და ნავთსაბადელი მრეწველობის პირველი წარმატებებზე. ამხ. კრავჩუკის მოთხრობა მისი მშობლიური მხარის სოფლის მეურნეობაში მომხდარი ისტორიულ ცვლილებათა შესახებ გაჟღენთილია იმ ადამიანის დაუშრეტელი ენერგიით, რომელმაც შეძლებლობა მიიღო გაკოტრებულებულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში ჩაბმულიყო, ლაპარაკობს იმ მხარეზე, სადაც გლეხები საბჭოთა ხელისუფლების მოსვლით მიწის სრულუფლებიანი პატრონები გახდნენ, უფლება მიიღეს ისარგებლონ მიწის ნაყოფით. უკრაინის დასავლეთ ოლქების ხალხი კულტურას ეზიფება. უკვე შექმნილია დაწყებითი და საშუალო სკოლების, მოზრდილ მოსახლეობაში წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საღამოს სკოლების ფართო ქსელი.

დეპუტატ კრავჩუკის გამოსვლის შემდეგ ეროვნებათა საბჭოს სესიის მესამე სხდომა იხურება. (საკდესი).

ფინანსთა სახალხო კომისარი ეთანხმება კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წინადადებას, რომ დაწესდეს უფრო მოკლე ვადა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენისა და შესაძლებლად მიიჩნია 1939 წლის ანგარიში წარმოდგენილ იქნას 1940 წლის 1 ივლისისათვის.

ამხ. ზვერევი საკმაო ყურადღებით ეპარებოდა სკრობს დეპუტატების კრიტიკას სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ. უკანასკნელ დროს, აღნიშნავს იგი, საფინანსო ორგანოებმა ცალკეულ უბნებზე მიაღწიეს მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი და სერიოზული მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ფინანსიური აპარატის მუშაობის ყველა ნაკლოვანება.

კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამომხსენებელმა დეპუტატმა **ქ. ი. ნიკოლაევამ** საბოლოო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახალხო კომისართა საბჭომ სწორად და სრულად აღრიცხა ყველა საშემოსავლო წყარო, სწორად განსაზღვრა მომართულება სახელმწიფო სახსრების ხარჯვისა. მთავრობამ, მზრუნველობაში მიიღო რა კამათში გამოსული დეპუტატების თხოვნა, მიზანშეწონილად სცნო გაადიდოს ასიგნობანი მთელ რიგ მნიშვნელოვან ღონისძიებათა განსატარებლად ცალკეულ რესპუბლიკებში. — საბიუჯეტო კომისია, — ამბობს ამხ. ნიკოლაევა,— საგანებით იწონებს სახალხო კომისართა საბჭოს ამ გადაწყვეტილებას და რწმენას გამოსთქვამს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დაამტკიცებს მას.

— დღეს, — ამბობს ამხ. ნიკოლაევა, — სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კანონის ძალას მიიღებს. ყველა საბჭოთა, სამეურნეო და საფინანსო ორგანოების ამოცანაა ბოლშევიკურად იბრძოლონ ბიუჯეტის შესრულებისათვის.

შესვენების შემდეგ კავშირის საბჭო გადადის სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებაზე. კავშირის საბჭო კენჭისყრით და შემდეგ მთლიანად ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს 183.954.633 ათასი მანეთის რაოდენობით შემოსავლის ხაზით და 179.913.376 ათასი მანეთის რაოდენობით გასავლის ხაზით, ამტკიცებს საკავშირო ბიუჯეტს და იღებს კანონს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

კანონის მიღების დეპუტატები და სტუმრები მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ამით კავშირის საბჭოს სესიის მეოთხეზე სხდომა იხურება. (საკდესი).

ეროვნებათა საბჭოს 3 აპრილის სხდომა

3 აპრილს, საღამოს, კრემლში შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეოთხე სხდომა. გრძელდებოდა კამათი სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

სხდომის თავმჯდომარე, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. მ. შვერნიკი** პირველ სიტყვას აძლევს დეპუტატ **გ. ც. ხელგაევს,** რომელიც თავის გამოსვლაში მხურვალედ უპერს მხარს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ გამოიცეს ახალი კანონები მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის, კომუნალური და კულტურული საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების და სავალდებულო საგანაგებო დაზღვევის შესახებ.

— სესიის განსახილველად წარმოდგენილი ბიუჯეტი,—ამბობს იგი შემდეგ,—ითვალისწინებს დიდ ასიგნობას სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის. ორატორს, ამასთან დაკავშირებით, მოჰყავს ბურიატ-მონღოლი ხალხის ხელოვნების სწრაფი განვითარების ფაქტები. რესპუბლიკაში შექმნილია რამდენიმე თეატრი, მუშაობს ფილარმონია, მომღერალთა კაპელა. ბურიატ-მონღოლმა კომპოზიტორებმა შეჰქმნეს მნიშვნელოვანი მუსიკალური ნაწარმოებები. ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების მუშაკები ამჟამად გაცხოველებით ემზადებიან თავიანთი ნაციონალური ხელოვნების დეკადისათვის, რომლის ჩატარებაც განზრახულია მოსკოვში ამა წლის შემოდგომაზე.

სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარი, დეპუტატი **ვ. ა. მალიშევი** სესიას აცნობს იმ ბრძოლის გამოცდილებას, რომელსაც ეწევიან საწარმოო კოლექტივები უყაირათობასა და დანაკარგებთან, რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის. მრავალი დაზგის მომსახურების და პროფესიათა შეთავსების ფართოდ გამოყენებამ ბევრ საწარმოს ხელი შეუწყო უზარალო, რენტაბელური მუშაობის გზას დასდგომოდა.

ჩვენ ვისწავლეთ მეტი პროდუქციის გამოშვება მუშათა ნაკლები რაოდენობის საშუალებით, — განაგრძობს ამხ. მალიშევი,—მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვახერხებთ უფრო მცირე ანარიცხის საშუალებით ქარხნების მართვას. საქარხნო სამმართველოებისა და სახალხო კომისარიატის შტატები მეტისმეტად დიდია. კვალეფიციური სპეციალისტები მეტწილად მუშაობენ არა წარმოებაში, არამედ კანცელარიებში. დიდია დამხმარე მუშების შტატებიც ქარხნებში. ამჟამად მძიმე მანქანათმშენებლობის მრეწველობაში განზრახულია გატარებულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ გავათავისუფლოთ ქარხნები 10 ათასი დამხმარე მუშისაგან. ისინი გადამზადებულ იქნებიან ხარატებად, ზეინკლებად, მღარველებად.

თავმჯდომარე აჭვეყნებს წინადადებას კამათის შეწყვეტის შესახებ. ამ წინადადებას ერთხმად იღებენ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო სულ ილაპარაკა 19 კაცმა.

ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. **ა. გ. ზვერევი** თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს, რომ სესიის განსაბილველად წარმოდგენილი ბიუჯეტი კამათში გამოსულმა ყველა ამხანაგმა ერთსულოვნად მოიწონა. სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით იგი მოახსენებს სესიას, რომ მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია საბიუჯეტო კომისიის წინადადება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 1.371.684 ათასი მანეთით გადიდებისა და საგასავლო ნაწილის—827 ათასი მანეთით შემცირების შესახებ. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია აგრეთვე მიიღოს კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ წამოყენებული წინადადება იმის შესახებ, რომ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებისათვის განკუთვნილი ხარჯები გადიდებულ იქნას 1,5 მილიონი მანეთით.

სახალხო კომისართა საბჭო დაეთანხმა ზოგიერთი დეპუტატის წინადადებას იმის შესახებ, რომ გადიდდეს ასიგნობანი ბიუჯეტით მთელი რიგი რესპუბლიკების საჭიროებისათვის. მაგალითად, დეპუტატმა ვანეევმა დააყენა საკითხი ბელორუსიაში საფეიქრო მრეწველობისა და ტორფის ამოღების განსავითარებლად ასიგნობათა გადიდების შესახებ. ამ მიზნებისათვის ბელორუსიის სს რესპუბლიკას დამატებით მიეცა 12.5 მილიონი მანეთი. მიღებულია აგრეთვე დეპუტატ ავეზოვის წინადადება იმის შესახებ, რომ ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში გადიდდეს ასიგნობანი სასკოლო მშენებლობისათვის 2,5 მილიონი მანეთის რაოდენობით იმ 11 მილიონს გარდა, რაც უკვე გათვალისწინებულია ბიუჯეტით. მხედველობაში მიღებულია შენიშვნა დეპუტატ კრავჩუკისა, რომელმაც აღნიშნა კომუნალური მეურნეობის უაღრესად დაბალი დონე დროგობიჩის ოლქის ქალაქებში. ამ ოლქში კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის დამატებით გაღებულია 500 ათასი მანეთი.

ამხ. ზვერევი ეთანხმება დეპუტატთა კრიტიკულ შენიშვნებს საფინანსო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. და დასასრულ აცხადებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელსაც სესია ამტკიცებს, უდიდესი მნიშვნელობა ექნება მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში.

ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის სახელით გამოსულმა თანამომხსენებელმა დეპუტატმა **ი. ს. ხოხლოვმა** საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, და მათ არ გამოუთქვამთ საწინააღმდეგო აზრი საბიუჯეტო კომისიის მიერ განსახილველად შემოტანილ ცვლილებათა შესახებ.

ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ განიხილა მთავრობის მიერ მიღებული დამატებითი ასიგნობანი 206.254 ათასი მანეთის რაოდენობით ბიუჯეტის სხვადასხვა საგასავლო მუხლების მიხედვით, და სთხოვს სესიას დამატებით ეს ასიგნობანი.

შესვენების შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებაზე. დეპუტატ ი. ს. ხოხლოვის წინადადების მიღების შემდეგ, პალატა ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს განყოფილებათა მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანად. ეროვნებათა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა, სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის მხრივ 183.954.633 ათასი მანეთის რაოდენობით და გასავლის მხრივ 179.913.376 ათასი მანეთის რაოდენობით, დაამტკიცა საკავშირო ბიუჯეტი და მიიღო კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

კანონის მიღების დეპუტატები და სტუმრები მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით გამოეთხოვნენ.

ამით კავშირის საბჭოს სესიის მეოთხე სხდომა იხურება. (საკდესი).

ამხანაგ შ. ა. დგებუაძის ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

1940 წლის 4 აპრილს სანმოკლე, მძიმე ავადმყოფობამ ცხრამეტ წელს მიუსრულებელ ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა ერთგული ლენინელი, ბოლშევიკი, ერთგული კომკავშირელი დარგში ამხ. შ. ა. დგებუაძე.

ამხანაგი დგებუაძე დაიბადა 1913 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში.

მან ბავშვობიდანვე დაჰკარგა მშობლები და ადრე დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება.

საშუალო სასწავლებლის მოწაფედ ყოფნისას, ამხ. დგებუაძე 1926 წელს შედის ლენინურ-სტალინური კომკავშირის რიგებში, ხოლო 1938 წელს—საკ. კ. პ. (ბ) რიგებში.

ამხ. დგებუაძე მისთვის ჩვეული ენერგიითა და ენტუზიაზმით აქტიურ მონაწილეობას იღებს კომკავშირის მუშაობაში. 1931 წლიდან ამხ. დგებუაძე ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზეა. 1937 წელს იგი არჩეულ იქნა ალკკ ჩხოროწყუს რაიკომის მდივნად, ხოლო შემდეგ კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივნად.

ამხ. დგებუაძე შეუღრეკლად და მტკიცედ იბრძოდა ბოლშევიკური პარტიის ხაზისათვის და მან თავი გამოიჩინა, როგორც ლენინურ-სტალინური კომკავშირის ერთერთმა საუკეთესო და აქტიურმა მუშაკმა.

ამხ. დგებუაძე 1938 წლის აპრილში დაწინაურებულ იქნა საქართველოს ალკკ ც. კ-ის გლეხთა ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ, ხოლო 1939 წელს—საქართველოს ალკკ ც. კ-ის მდივნად კადრების დარგში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს 1939 წელს ამხ. დგებუაძე არჩეულ იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

თავის მუშაობაში ამხ. დგებუაძე განირჩეოდა თავდაჯერებით, გულისხმიერებით, ბოლშევიკური პრინციპულობით და სარგებლობდა მის გარშემო მყოფ ყველა ამხანაგთა დამსახურებული სიყვარულით.

სიცოცხლით სავსე ვალიკო, ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული, დიდებას ეხსომებათ მასთან მომუშავე ამხანაგებს.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო ვალიკო!

ა. მირცხულავა, თ. ბირკაძე, გ. იმნაიშვილი, ნ. ყვანია, გ. ცქიტიშვილი, ვ. გოზალოვი, ა. ჟინჭარაძე, მ. თომაძე, ნ. აგაშენაშვილი, ა. ბუდუმიანი, რ. წოლოყაძე, პ. დანილევიჩი, დ. მჭედლიშვილი, გ. სემიონოვი, ს. არტაზოვი, ბ. გელოვანი და სხვ.

ამხ. შ. ა. დგებუაძის დამკრძალავი კომისიისაგან

კუბო ამხ. შ. ა. დგებუაძის ცხედრით 5 აპრილს დასვენებული იქნება წითელი არმიის სახლის დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, № 10).

განსვენებულის ცხედართან მნახველებს შეუშვებენ: 5 აპრილს — დღის 2 საათიდან საღამოს 10 საათამდე, 6 აპრილს — დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე.

სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება 5 აპრილს — საღამოს 7 საათზე და 6 აპრილს — დღის 2 საათზე.

ცხედრის გამოსვენება სადგურზე წასასვენებლად მოხდება 6 აპრილს დღის 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება ზუგდიდში.

ს. გიორგაძემ პასუხი უნდა აგოს

1938 წელს თბილისის ქალაქის საბჭოს მოევლინა ინჟინერი ვინმე სერგო გიორგაძე, რომელმაც დღიდან მოსვლისა საგრძნობი ზარალი მიაყენა ქალაქის მშენებლობას. მისი უშუალო მონაწილეობით შემოზიდულ იქნა რუსეთიდან ჰიანაჭამი და მთლიანად უვარგისი ბის მასალა, რომელიც არა თუ კაპიტალური მშენებლობისათვის, არამედ კაპიტალური რემონტისთვისაც კი უვარგისი აღმოჩნდა. მანვე ჩაშალა გასულ წელს თოვის დამზადება და რაც დაამზადა, ისიც სრულიად უვარგისი. რის შედეგად დიდი ზარალი მიაყენა საჭიპანე ტრანსპორტის გამწვე ძალას.

ჯერ კიდევ 1936-37 წლებში, როდესაც გიორგაძე გზატკეცილების სამმართველოს ინჟინრად მუშაობდა, მან ჩაშალა მუშაობა ქუთაისის საგზაო უბანში, გზის რემონტი ჩატარა მავნებლურად და ამის გამო მის მიერ ჩაშენებული საორთის მთავარი გზა სულ ცოტა ხანში ხელახლა დაინგრა. რაჭის მთავარი გზის ხიდიც, რომლის მშენებლობასაც გიორგაძე ხელმძღვანელობდა, მალე ჩაინგრა.

ამასთანავე საგულისხმოა ისიც, რომ გიორგაძე ორჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში სისწლის სამართლის წესით, მაგრამ ორჯერვე მოახერხა თავის დაძვრენა და ახლაც განაგრძობს თავის შავბნელ საქმიანობას.

იმედია სათანადო ორგანოები საფუძველიანად შეისწავლიან გიორგაძის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს, სახელმწიფოსათვის მიყენებულ დიდ ზარალს და მის მიმართ მიიღებენ საჭირო ზომებს.

მშენებელი

კარჯკალენდარი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სარკვანი-საინსტრუქტორო განყოფილება სთხოვს ქვემოთდასახელებულ პასუხისგებებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ პარტსპაჟელთა ჯგუფში (ცერეთელის ქ. № 8, მე-2 სართული): ნადეჟდად ნიკოლოზის-ასული ცხვედაძეს, ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ქუთათელაძეს, ალექსი ვასილის-ძე ბარანოვი, ალექსანდრე ნესტორის-ძე ბაძაღუა, ილია ეგნატეს-ასული როგავა, ერმინე მატყოს-ძე საგლარიანი, იველიან მეტრონის-ძე პარკაია და ვლადიმერ გიორგის-ძე ცილასანია.

საქ. კ. პ. (ბ) **გორის რაიკომი** სთხოვს ამხ. ილია ვასილის-ძე გერსანოზაშვილს სასწრაფოდ გამოცხადდეს ამავე რაიკომის საკადრო სექტორში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ ამხ. გიორგი იველის-ძე ჩილაური სამი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს რაიკომის მდივანთან—ამხ. ჯაფარიძესთან.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ლენინის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. **ნ. ჯანელიძე** აცხადებს, რომ ამხ. **ალექსანდრე ნესტორის-ძე ბაძაღუა** ჩაბარებული აქვს ლენინის რაიონის ალკკ ორგანიზაციული განყოფილების ინსტრუქტორის ბეჭედი და ბეჭდის ანაბეჭდი.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხ. ვალია ამბაკოს-ძე დგებუაძე.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხანაგი ვალია ამბაკოს-ძე დგებუაძე

ცოლი გუგუ, შვილი ლაური, ძმა ვალოდია და ბებია მატრონა იუწყებიან

ძვირფასი ვალია ამბაკოს-ძე დგებუაძის

გარდაცვალებას.

ცოლი იოგანე, შვილები აკაკი, თინა, რძალი ელისო ჭოიავები იუწყებიან

ლუკა ქოჩიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 5/IV 5 ს. ხუდადოვის, 38. კუკიის სასაფლაოზე.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხ. ვალია ამბაკოს-ძე დგებუაძე.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხანაგი ვალია ამბაკოს-ძე დგებუაძე

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან ამავე საბჭოს აღწყისკომის თავმჯდომარის ჩოადგილე ამხ. გორგიძის შვილის პატარა

ბ ო ჭ ი კ ო ს

გარდაცვალებას. 5906

ცოლი ეკატერინე, ქალიშვილები მარგო, ფეთიკო, დედა ეკატერინე, ძმა ბაჭუა ცოლშვილით, ბიძაშვილები ვარლამ, შალვა, ალიფთინე ყოგზარიძეები, ვასილ, ვერა, ყიულენ კიკნაძეები იუწყებიან